

მოსაზრებები აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული  
აუცილებელი წინასწარი ღონისძიებების შესახებ

აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესი სხვადასხვა ობიექტური და განსაკუთრებით სუბიექტური მიზეზების გამო მეტისმეტად გაჭიანურდა. ე.შევარდნაძის რეჟიმი, რომელიც გახლდათ მთავარი შემომქმედი აფხაზეთის ტრაგედიისა, ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილ ხელმძღვანელობასთან ერთად წლების განმავლობაში „გვართობდა“ უსაგნო „დისკუსიით“ კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიანი თუ ძალისმიერი მეთოდების შესახებ. ათი წლის განმავლობაში მას არ გადაუდგამს არც ერთი რეალური ნაბიჯი აფხაზეთის დაბრუნებისაკენ. უფრო მეტიც, ხელისუფლებას ჩამოცილებულმა შევარდნაძემ გვამცნო აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვის (!) შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავის დროზე მან გაყიდა აფხაზეთი, ჩაიდინა უმძიმესი ღალატი სამშობლოს წინაშე. სწორედ ამიტომ მისი არათანმიმდევრული, უნიათო და ამავე დროს ვერაგული პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში, 1998 წლის მაისისა და 2001 წლის შემოდგომის ავანტიურის ჩათვლით, მიზნად ისახავდა მხოლოდ საზოგადოების მოტყუებას, დროის გაჭიანურებას, თანდათანობით აფხაზეთის არა მხოლოდ დე-ფაქტო, არამედ დე-იურე განსხვავებას.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა მკვეთრად შეცვალეს ვითარება ქვეყანაში. გაჩნდა შანსი დაშლის პირამდე მიყვანილი, არშემდგარი ქართული სახელმწიფოს გადარჩენისა, მისი სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, სულიერ-ზნეობრივი აღორძინებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. ამ შანსის რეალიზება ახალი ხელისუფლებისა და მთლიანად ქართული საზოგადოების საერთო ძალისხმევით იქნება შესაძლებელი.

მისასალმებელია, რომ რევოლუციური ხელისუფლება რევოლუციურად არ უდგება აფხაზეთის პრობლემას. ჯერ-ჯერობით იგი შემოიფარგლება ძალიან ზოგადი, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი განცხადებებით, იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი ახალი ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტია; რომ კონფლიქტი მოგვარდება მშვიდობიანი მეთოდებით; რომ აუცილებელია ყველა დევნილის უპირობო და უსაფრთხო დაბრუნება; რომ აფხაზეთს ექნება ფართო ავტონომიური უფლებები საქართველოს შემადგენლობაში. უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, კონფლიქტი აფხაზეთში მოგვარდება სახელმწიფოს განმტკიცების, საქართველოს სამხედრო-ეკონომიკური ძლიერების მიღწევისა და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების კვალობაზე. ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია აფხაზეთის ურთულესი

და მრავალწახნაგოვანი საკითხისადმი ამგვარი რეალისტური მიდგომა. მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად საჭიროა პოლიტიკურ-იდეოლოგიური, დიპლომატიური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო (აუცილებლად ომს არ ნიშნავს) ბერკეტების ერთდროული ენერგიული ამოქმედება.

ვფიქრობთ, ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული, ყოველმხრივ გააზრებული სახელმწიფო პროგრამა ამა თუ იმ ეტაპისათვის გათვლილი პრიორიტეტების მითითებით. ცენტრალური და დევნილი სახელისუფლებო სტრუქტურების მოვალეობაა იმოქმედონ შეთანხმებულად აღნიშნული პროგრამისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. თანაც ეს მოქმედება უნდა იყოს ყოველდღიური, მიზანმიმართული და ეფექტური.

ამჯერად არ გვაქვს პრეტენზია აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების ყოვლის მომცველი პროგრამის ჩამოყალიბებისა. ჩვენი სურვილია გამოვკვეთოთ დღეისათვის უმთავრესი პიორიტეტი, უპირველესი პრობლემა, რომლის მოგვარება დააჩქარებს ყველა სხვა დანარჩენი პრობლემის გადაჭრას, ხელს შეუწყობს კონფლიქტის სრულმასშტაბიან დარეგულირებას. ჩვენი აზრით, სწორედ ასეულ ათასობით დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების საკითხი გახლავთ მთავარი რგოლი აფხაზეთის ურთულეს პრობლემათა ჯაჭვში, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მთელი ჯაჭვის ამოწევა.

დევნილი მოსახლეობის მშობლიურ ადგილებში ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება, სხვა საკითხებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს დავისა და განხილვის საგანს. იგი გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თაობაზე გაერო-ს, ეუთო-ს რეზოლუციებით, საერთაშორისო კონვენციებითა და სხვა აქტებით.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უმწვავესი პრობლემა დღემდე ვერ ვაქციეთ გადაუდებელ საერთაშორისო პრობლემად, რომლის არგადაჭრა უახლოეს მომავალში შესაძლოა ძვირად დაუჯდეს საერთაშორისო თანამეგობრობას. ქალაქებზე დარჩა ეუთო-ს ბუდაპეშტის (1994 წლის 6 დეკემბერი), ლისაბონისა (1996 წლის 3 დეკემბერი) და სტამბულის (1999 წლის 17-18 ნოემბერი) თათბირების მასალები აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდის შესახებ. იგივე ბედი გაიზიარა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ათობით რეზოლუციამ, სადაც არის მითითება ეუთო-ს ზემოთ ხსენებული სამიტების გადაწყვეტილებებზე, დადასტურებულია დევნილთა უპირობო უფლება საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე,

დაგმობილია ეთნიკური ნიშნით განხორციელებული მკვლევლობები, ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ყოვლად მიუღებელია კონფლიქტის შედეგად განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილებების დაკანონება. ამ გარემოებაზე უშიშროების საბჭო ამახვილებს ყურადღებას თავის ბოლო (2004 წლის 30 იანვარი) რეზოლუციაშიც.

სრულიად გაუმართლებელი მიზეზების გამო ვერ შესრულდა დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა მრავალი შეთანხმება დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით. აფხაზური მხარე ჯიუტად არ ასრულებს 1994 წლის 4 აპრილის ორმხრივ შეთანხმებაში („აფხაზეთიდან ლტოლვილთა და დევნილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ“) ჩამოყალიბებულ ვალდებულებებსაც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დროა დავიწყოთ გრანდიოზული პროპაგანდისტული კამპანია, რათა საერთაშორისო არენაზე წარმოვაჩინოთ დევნილთა რეალური მდგომარეობა. ინტერნეტის მეშვეობით გავავრცელოთ და შესაბამის ორგანიზაციებს, აგრეთვე თბილისში აკრედიტებულ საელჩოებს მივაწოდოთ ყოველკვირეული ინფორმაცია, თუ როგორ იჩაგრება და ნადგურდება დევნილი მოსახლეობა; შევქმნათ დევნილთა მოძრაობები რუსეთში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა თვეში ერთხელ მაინც თავი შეახსენონ შესაბამისი ქვეყნების მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს; ასეთივე მოძრაობაა დასაწყები ჩვენს დედაქალაქში, აგრეთვე ზუგდიდში, სადაც განლაგებული არიან გაერო-ს დამკვირვებლები.

აფხაზეთიდან დევნილთა კატასტროფული

მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა თბილისში გაეროს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს და სხვა (მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველი) ორგანიზაციების ექსპერტთა მონაწილეობით. კონფერენციის მასალებში აისახება მაქსიმალურად ობიექტური სურათი სეპარატისტთა მიერ ადამიანის უფლებების უშასაუკუნეობრივი მეთოდებით დარღვევის, დევნილთა უკიდურესად გაჭირვებული ყოფის შესახებ; გაკეთდება ერთადერთი სწორი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების შემდგომი ხელოვნური გაჭიანურება გამოიწვევს მათი დიდი ნაწილის ფიზიკურ განადგურებას, რომ სერიოზული საფრთხე შეექმნება სტაბილურობას კავკასიის რეგიონში, მსოფლიოში, ვინაიდან სასიკვდილოდ განწირული დევნილები ვერ შეეგუებიან ამდენ დამცირებას და ა.შ. კონფერენციის გადაწყვეტილებებში, განცხადებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვებში ჩაიდება რეკომენდაცია დევნილთა

უსაფრთხო დაბრუნების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ, რათა ფიზიკურად გადარჩნენ ადამიანები და თავიდან ავიცილოთ დესტაბილიზაციის მოსალოდნელი საფრთხე. კონფერენცია უნდა დავარწმუნოთ გალის რაიონის მაგალითზე, რომ სეპარატისტული რეჟიმი დაბრუნებული დევნილების უსაფრთხოების გარანტი ვერ იქნება. გარანტის როლი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით შექმნილმა დროებითმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა უნდა იკისრონ.

საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებათა თუ რეკომენდაციათა საფუძველზე საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად აყენებს საკითხს გაერო-ს, დსთ-ს, ეუთო-ს, სხვა ორგანიზაციების წინაშე დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ. ამისათვის, ჩვენი აზრით არ არის სავალდებულო გაერო-ს წესდების VII თავზე გადასვლა, რაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. სასურველი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია გაერო-ს წესდების VI და VIII თავების საფუძველზეც. VI თავი, უფრო კონკრეტულად წესდების 34-ე მუხლი გაერო-ს უშიშროების საბჭოს აძლევს უფლებას გამოიძიოს ნებისმიერი დავა, ნებისმიერი სიტუაცია და განსაზღვროს „ამ დავის ან სიტუაციის გაგრძელება ხომ არ დაემუქრება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“. ჩვენი მუშაობით იმას მაინც უნდა მივალწიოთ, რომ უშიშროების საბჭომ შემდგომ რეზოლუციებში ამგვარი მწვავე შეფასება მისცეს აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. სამწუხაროდ, 1993 წლის 4 ნოემბრის შემდეგ მსგავს ჩანაწერს ვერ იპოვით უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში. ალბათ, ჩაითვალა, რომ სამშვიდობო პროცესმა, თუ მას სამშვიდობო პროცესი ჰქვია, მოხსნა საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისათვის. სინამდვილეში, საფრთხე დღეს უფრო დიდია, ვიდრე 1993 წელს. მთავარია, ამაში დავარწმუნოთ საერთაშორისო თანამეგობრობა.

გაერო-ს წესდების VIII თავი, რომლის საფუძველზეც დსთ ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციას აფხაზეთში, იძლევა გარკვეული იძულებითი ღონისძიებების ჩატარების უფლებას. ჯერ კიდევ 1994 წლის 15 აპრილს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს თხოვეს აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის დაწყება. თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, დსთ გამოთქვამდა მზადყოფნას, გაერო-ს წესდების VIII თავის შესაბამისად, თვითონ შეეყვანა აფხაზეთში სამშვიდობო ძალები. VIII თავი, კონკრეტულად წესდების 52-ე მუხლი რეგიონალურ ორგანიზაციებს ნამდვილად ანიჭებს ადგილობრივი დავის საკუთარი ძალებით მშვიდობიანი გადაწყვეტის უფლებას. იქვე 53-ე მუხლში კი ვკითხულობთ: „უშიშროების საბჭო გამოიყენებს, სადაც ეს მართებული იქნება, ასეთ რეგიონალურ შეთანხმებებს ან ორგანოებს იძულებით ღონისძიებათა

განსახორციელებლად თავისი ხელმძღვანელობით“. როგორც ვხედავთ, წესდების VIII თავი, განსხვავებით VI თავისაგან, რეგიონალური ორგანოების მიერ იძულებითი ღონისძიებების გატარების უფლებას იძლევა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დსთ-ს, პირველ რიგში რუსეთის პოზიციას.

დსთ-ს უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება სეპარატისტულ რეჟიმზე ზემოქმედების შესახებ. მხედველობაში გვაქვს დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. იგი ითვალისწინებს სეპარატისტული რეჟიმის სრულ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას. უფრო მეტიც, აღნიშნული გადაწყვეტილებით დსთ მიმართავს გაერო-ს უშიშროების საბჭოს, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისა და პირველ რიგში დევნილთა დაბრუნების მიზნით მხარი დაუჭიროს სეპარატისტებზე ზემოქმედების ღონისძიებებს და რეკომენდაცია მისცეს გაერო-ს წევრ ქვეყნებს შემოუერთდნენ ამ ღონისძიებებს. სამწუხაროდ, დსთ-ს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა შესახებ არ ვისაუბრებთ, შეუსრულებელი დარჩა. ფორმალურად იგი დღემდე მოქმედებს. ერთი სიტყვით, სამართლებრივი ბაზა დევნილთა დაბრუნებისათვის, თუნდაც აფხაზური მხარის ნების წინააღმდეგ, არსებობს, მაგრამ ის არ არის გამოყენებული.

კვლავ და კვლავ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება, მათ შორის დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება რუსეთის ფედერაციის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი უდიდეს მნიშვნელობას რუსეთთან ურთიერთობის რადიკალურად გაუმჯობესებას, რაც მისასაღმებელი და ყოველმხრივ მხარდასაჭერია. დევნილთა დაბრუნების ჩვენეული პროექტის სრულად განხორციელებაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი. რაში მდგომარეობს ამ პროექტის არსი?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე საჭიროა გავერკვეთ დეფინიციის საკითხებში, უნდა შევთანხმდეთ რა სახის კონფლიქტთან გვაქვს საქმე: ქართულ-აფხაზურთან (საქართველო-აფხაზეთის გაგებით), თუ კონფლიქტთან აფხაზეთში. ბოლო წლების მანძილზე როგორც გაერო-ს ისე დსთ-ს დოკუმენტებში საუბარია მხოლოდ კონფლიქტზე აფხაზეთში (КОНФЛИКТ В АБХАЗИИ), რაც ერთადერთი სწორი დეფინიციაა და ზუსტად ასახავს კონფლიქტის შინაარსს. აღნიშნული საკითხის გარკვევას აქვს არსებითი მნიშვნელობა. სამშვიდობო ოპერაცია უნდა არეგულირებდეს არა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტს,

8

არამედ კონფლიქტს აფხაზეთში. შესაბამისად, სამშვიდობო ძალებს არაფერი ესაქმებათ ჭითაწყარში, ზუგდიდის რაიონში, თუნდაც გალის რაიონში, სადაც თითქმის არ ცხოვრობს აფხაზური მოსახლეობა და ეთნოკონფლიქტისათვის საფუძველი არ არსებობს. დაპირისპირებაა ქართველებსა და აფხაზებს შორის აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც არის ქართული და აფხაზური დასახლებები ან შერეული მოსახლეობა აფხაზთა უპირატესობით. აქედან გამომდინარე, სამშვიდობო ოპერაციის მიზანი უნდა გახდეს ქართველთა და აფხაზთა განმხილველობა. ეს არის პროექტის არსი.

როგორ მოხდება განმხილველობა?

პირველ ეტაპზე დევნილთა თანდათანობითი დაბრუნება შესაძლებელია უპირატესად ქართველებით დასახლებულ პუნქტებში. ეს არის გალის რაიონი, ქ.ოჩამჩირე, ცენტრალური საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის გაყოლებით მდებარე ოჩამჩირის რაიონის სოფლები, გულრიფშის რაიონი, ქ.სოხუმი, სოხუმის რაიონი, გაგრის ზონა.

როგორ მოხდება სამშვიდობოების განლაგება დაპირისპირებული მოსახლეობის განმხილველობის მიზნით?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემოყვანის აუცილებლობა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 15 აპრილის განცხადებაში მოტივირებულია ცეცხლის შეწყვეტი და დევნილთა პრობლემების უსწრაფესი გადაწყვეტის, ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სურვილით. დსთ-ს ძირითად დოკუმენტებში, რომლებიც ეხება კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების გამოყენებას ( 1994 წ. 22 აგვისტო), სამშვიდობოთა მანდატს (1994წ. 21 ოქტომბერი), განსაკუთრებით მანდატის დაზუსტებას (1995წ. 26 მაისი) და ა.შ., ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ სამშვიდობო ძალების მთავარ ამოცანას წარმოადგენს დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის პირობების შექმნა. მეთაურთა საბჭოს 1997 წ. 28 მარტის გადაწყვეტილება, გალის რაიონის ძველ საზღვრებში დევნილთა დაბრუნებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებდა უსაფრთხოების ზონის გაფართოებას, სამშვიდობო ძალების დისლოკაციის შეცვლას (პერედისლოკაციას). ვფიქრობთ, დისლოკაციის შეცვლა, რომელიც თავის დროზე ვერ განხორციელდა, მიუხედავად დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს კიდევ ორი გადაწყვეტილებისა 1998 (28მარტი)-1999 (2აპრილი) წლებში, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ამჟამად მაინც და არა იმდენად გალის რაიონის ძველ საზღვრებში, არამედ აფხაზეთის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სამშვიდობო ძალების მანდატისა და მათი დისლოკაციის შეცვლის თაობაზე არსებული

7

სამართლებრივი ბაზის გათვალისწინებით კოლექტიური უსაფრთხოების ძალებმა დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფების განმხოლოება უნდა მოახდინონ ოჩამჩირის რაიონიდან. დროებითმა გამყოფმა ხაზმა შეიძლება გაიაროს აგუბედია-რეკა-ფოქვეში-მოქვი-კინდლი-აძიუბჟას მონაკვეთზე. ამ პირობითი ხაზის აღმოსავლეთით ტყვარჩელის ჩათვლით - უპირატესად აფხაზური მოსახლეობაა, თუმცა ეს ტერიტორია დღეს სანახევროდ დაცლილია აფხაზებისაგან; დასავლეთით, სადაც უნდა დაბრუნდნენ დევნილები - დიდი უპირატესობით ჭარბობდა ქართული მოსახლეობა. ჩვენი სქემის მიხედვით სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას ოჩამჩირის რაიონში დასჭირდება დაახლოებით 1000-1500 კაცი.

გულრიფშის რაიონში, სადაც აფხაზური მოსახლეობა 2,5% შეადგენდა. სავსებით საკმარისია რამდენიმე საგუშაგოს გახსნა 250-300 კაციანი პირადი შემადგენლობით.

ქ.სოხუმსა (აფხაზური მოსახლეობა -12,5%) და სოხუმის რაიონში (აფხაზური მოსახლეობა -5%) სამშვიდობო ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო იქნება 1000 კაციანი სამხედრო კონტინგენტის განლაგება მდ.გუმისთის გასწვრივ.

გაგრის ზონაში (აფხაზური მოსახლეობა -11%) მშვიდობის შენარჩუნებას დასჭირდება არაუმეტეს 1000 კაცისა, რომელიც განლაგდება მდ.ბზიფის გასწვრივ.

ერთი სიტყვით, აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად და დევნილთა თითქმის 80% დაბრუნების უზრუნველსაყოფად საკმარისია მაქსიმუმ 4000 კაციანი სამხედრო კონტინგენტი ( ამჟამინდელზე ოდნავ მეტი). პოლიციასთან ერთად იგი შეძლებს მშვიდობის შენარჩუნებას, დევნილთა ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფას.

აფხაზეთში დევნილთა დაბრუნება და კოლექტიური უსაფრთხოების ძალების მანდატის ტრანსფორმაცია განხორციელდება გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად.

გაერო-ს შეუძლია სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება მიანდოს არა მხოლოდ რუსეთს, არამედ დსთ-ს წევრ სხვა სახელმწიფოებსაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოზიტიურ როლს ითამაშებენ უკრაინა, აზერბაიჯანი, აფხაზეთის სომხურ მოსახლეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით - სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენით დაინტერესებული სომხეთი და ა.შ. არ არის გამორიცხული სამშვიდობო ოპერაციაში გაერო-მ ჩართოს დამატებითი ძალები. ამის თაობაზე დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებმა ერთხელ (1994წ. 15 აპრილს) უკვე მიმართეს თხოვნით უშიშროების საბჭოს. მიმართვაში ნათქვამია: „мы также

приветствовали бы готовность ООН поддержать такую миротворческую операцию Дополнительными контингентами“.

სავსებით შესაძლებელია ამ მიმართვის განმეორება და რეალური შედეგის მიღწევა.

როცა დევნილთა დაბრუნებაზე საუბარი, ხშირად ისმის კანონიერი კითხვა: ვისი იურისდიქციის ქვეშ ვაბრუნებთ დევნილებს?

გალის რაიონი გახლავთ მკაფიო მაგალითი იმისა, რომ სეპარატისტული რეჟიმის იურისდიქციის ქვეშ დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება შეუძლებელია. ჩვენი აზრით, დევნილთა მასობრივი დაბრუნების ადგილებში გაერო-ს და ეუთო-ს წარმომადგენლთა მონაწილეობით უნდა შეიქმნას დროებითი გარდამავალი ადმინისტრაცია. გალის რაიონში ანალოგიური სახელისუფლებო სტრუქტურის შექმნას ითვალისწინებდა დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1998 წლის 28 მარტის, აგრეთვე 1999 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებები.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვეფუძნებით დსთ-ს ფარგლებში ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც დღემდე არ შესრულებულა, მაგრამ უეჭველად შესრულდება რუსეთთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში.

დევნილთა დაბრუნების პირველ ეტაპს მოჰყვება სატრანსპორტო (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) კომუნიკაციების აღდგენა და ამოქმედება. საქართველოს ბიუჯეტითა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით დაიწყება აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაცია. შეიქმნება ხელსაყრელი პირობები აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკების დასაწყებად. გაუქმდება დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლება და აფხაზეთის წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში.

დროებით გარდამავალ ადმინისტრაციასა და აფხაზურ მხარეს შორის იწყება მოლაპარაკება დევნილთა დაბრუნების მეორე ეტაპის თაობაზე, როცა გადასაწყვეტი იქნება უპირატესად აფხაზებით დასახლებულ სოფლებში და ქალაქებში ქართველთა დაბრუნების საკითხი. მხარეთა მორიგებით შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილების გაცვლა, როგორც ეს არის გათვალისწინებული 1994 წლის 4 აპრილის ქართულ-აფხაზური ორმხრივი შეთანხმებით დევნილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.

დევნილთა დაბრუნების დასრულებისთანავე, მხარეთა მონაწილეობით იქმნება აფხაზეთის ტერიტორიული მოწყობის სქემა, მუშავდება დემოკრატიული საარჩევნო კანონი და ტარდება არჩევნები.

აფხაზეთის ახალი კანონიერი ხელისუფლება დაასრულებს ცენტრთან მოლაპარაკებებს სტატუსთან დაკავშირებით.

ასეთია ზოგადად ჩვენი პროექტის არსი.

მიგვაჩნია, რომ არანაირი სხვა, პრინციპულად განსხვავებული რეალური გზა აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებისა და მთლიანად კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა არ არსებობს.

ჩვენ ვიცნობთ არა ერთი და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ, ხანგრძლივი დროის მანძილზე გათვლილ სამშვიდობო პროექტებსაც. მათი საერთო ნაკლია დენვილთა საკითხების უგულვებელყოფა მაშინ, როცა ამ პროექტებში მოცემული საინტერესო წინადადებების რეალიზება მხოლოდ დენვილთა აფხაზეთში დაბრუნების შედეგადაა შესაძლებელი. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს არასამთავრობოთა უაღრესად სასარგებლო საქმიანობას, რომელიც მიმართულია ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებისაკენ, ნდობის აღდგენისაკენ. სასურველია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა გეგმები და პროექტები წინააღმდეგობაში არ მოდიოდნენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საერთო ეროვნულ კონცეფციასთან, რომელიც დასრულებული სახით ჯერ არც გაგვაჩნია. ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროექტს აქვს პრეტენზია გახდეს ასეთი საერთო ეროვნული კონცეფციის შემადგენელი ნაწილი.

სამართლიან კითხვაზე, რამდენად რეალურია ეს პროექტი, გვაქვს მოკლე პასუხი: რეალურია იმდენად, რამდენადაც არის რეალური აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იდეა. თუ კონფლიქტს აფხაზეთში უწყერია მშვიდობიანი მოგვარება, ეს მოხდება წარმოდგენილი პროექტის ან მეტნაკლებად მისი მსგავსი გეგმის შესაბამისად.

მშვიდობიანი გზის არჩევა სულაც არ გამორიცხავს, თუ ერთ მშვენიერ დღეს გაირკვევა ამ გზის უპერსპექტივობა, სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. ამის შესახებ არა ერთხელ მიანიშნა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც, მათ შორის ა.წ. 27 მარტს. ძალისმიერი მეთოდის წარმატება დამოკიდებული იქნება როგორც საქართველოს სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებაზე, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის ( გაერო, დსთ და ა.შ.) ნებართვაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე. ასეთ ნებართვას საქართველო მაშინ მიიღებს, როცა სამშვიდობო რესურსი ბოლომდე ამოიწურება, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა დარწმუნდება პოლიტიკური მეთოდების უპერსპექტივობაში. წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთი მიზანია, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოუგვარებლობის შემთხვევაში,

საერთაშორისო თანამეგობრობის წინასწარ შემზადება აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე ნებართვის მისაცემად.

ამრიგად, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ: ვემხრობით თუ არ ვემხრობით სამშვიდობო გზას, იგი მაინც გასავლელია, რათა უკეთეს შემთხვევაში კონფლიქტი მოგვარდეს უსისხლოდ, უარეს შემთხვევაში - შემზადდეს ნიადაგი ძალისმიერ რელსებზე გადასასვლელად.

აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება რუსეთის ფედერაციის პოზიციაზე, მეგობარი ქვეყნების, პირველ რიგში ამერიკის ქმედით დახმარებაზეა დამოკიდებული. საჭიროა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყება ამ ქვეყნებთან. ალტერნატივა არ გააჩნია რუსეთთან ურთიერთობის პრეზიდენტისეულ ახალ პოლიტიკას. მოგვიწევს კავკასიის რეგიონში ამ შესახელმწიფოს კანონიერი ინტერესების გათვალისწინება. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ჩვენეული პროექტის შესაბამისად სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებაზე რუსეთის თანხმობა შესაძლოა დაუკავშირდეს სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებს, აფხაზეთში მშვიდობისმყოფელად ყოფნის ახალ პირობებს და სხვა სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, არაკონსტრუქციული პოლიტიკის გაგრძელება სერიოზულად შეუშლის ხელს, თუმცა ვერ შეაჩერებს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას ნაწილობრივ მაინც. უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს უშეძლია აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა და რუსეთს გამოცხადება კონფლიქტის მხარედ. გაერო-ს წესდების 27-ე მუხლის შესაბამისად, კონფლიქტის მონაწილე მხარე, უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვისას, ვალდებულია თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თუ გადაწყვეტილება მიიღება წესდების VI თავისა და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის (VIII თავი) საფუძველზე. ეს იქნება სერიოზული დარტყმა რუსეთისათვის, მაგრამ იმედი გვაქვს, საქმე აქამდე არ მივა.

ეფექტური სამშვიდობო პოლიტიკის გატარება მოითხოვს აგრეთვე სხვა ღონისძიებების განხორციელებას. ყოველნაირად მხარდასაჭერია უკვე საკმაოდ განვითარებული სახალხო დიპლომატია, ახალგაზრდების ძალისხმევა, დაამყაროს კანტაქტები აფხაზ თანატოლებთან; ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობას ჯანდაცვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში.

არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ვიტყვი რაოდენ მნიშვნელოვანია აფხაზეთში ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდეს თბილისის ხილული თუ უხილავი ხელი, ქართული სუნთქვა.

ვიცნობთ რა კარგად აფხაზურ მხარეს, საჯარო განცხადებების გაკეთებისას გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური მომენტები. ავიღოთ

თუნდაც სეპარატისტთა დამოკიდებულება ახალი ხელისუფლებისადმი, პირველ რიგში პრეზიდენტისადმი. ეს არის შიშის, გაურკვეველი მოლოდინისა და პრეზიდენტის პიროვნებისადმი ინტერესის გრძნობა საჭიროა ამ გრძნობის კიდევ უფრო გაძლიერება, რათა იყოს მეტი შიში, მეტი გაურკვეველობა და მეტი ინტერესი პრეზიდენტისადმი.

პოლიტიკურ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამართლებრივ საკითხებს. ამ სფეროშიც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვგულისხმობ არა მხოლოდ ჰააგის სასამართლოსთან მუშაობას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, არც სოხუმში და მით უმეტეს დევნილობაში სერიოზულად არ გვიმუშავია (თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამჟამინდელ ვითომ კონსტიტუციას) აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე. დროა, ახლა მაინც მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, გასაგრძელებელია უფრო ინტენსიურად სეპარატისტული ანტიქართული იდეოლოგიისა და ცრუისტორიოგრაფიის მხილება და ა.შ.

იმედი მაქვს წარმოდგენლი მოსაზრებები სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება.

ჯემალ გამახარია